





2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს კოლორ+

ს/კ 200277887

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ზოგადი ინფორმაცია.....	5
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
ძირითადი საშუალებები	10
არამატერიალური აქტივები	10
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები.....	11
საკუთარი კაპიტალი	12
მოგების გადასახადი	12
საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები	13
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13345	22444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52851	8239
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1238	1650
მარაგები	327228	284245
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	327228	284245
სხვა არამატერიალური აქტივები	18240	22174
ძირითადი საშუალებები	4319	43233
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	417221	381985
ვალდებულებები	31/12/2021	31/12/2020
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	208333	113290
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4311	0
გრძელვადიანი წასესხები სახსრები	52719	88989
სხვა ვალდებულებები	1441	0
სულ ვალდებულებები	266804	202279
საკუთარი კაპიტალი	31/12/2021	31/12/2020
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	150417	147166
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	32540
სულ საკუთარი კაპიტალი	150417	179706
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	417221	381985


შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დაშნიაზი



2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2076067	1847797
საქონლის გაყიდვიდან	2076067	1847797
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1525953	-1517001
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	550114	330796
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-278466	-159001
ცვლათა / ამორტიზაციის ხარჯი	-9182	-16536
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-4053	0
იჯარის ხარჯი	-61849	-55581
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-58965	-38421
სულ საოპერაციო ხარჯები	-412515	-269539
საოპერაციო მოგება	137599	61257
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	5763	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებ	143362	61257
მოგების გადასახადის ხარჯი	-25841	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	117521	61257
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	117521	61257
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	179706	85909
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-118210	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-28600	32540
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	150417	179706

შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დაშნიანი



2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	155264
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	42848
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი	-207211
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-9099
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	22444
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13345

შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დამნიანი



განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია


შპს "კოლორ+" (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 200277887 დაფუძნდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2009 წლის 10 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი II მ/რ, კორ. 19ა.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებითა და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში; საღებავების, ლაქებისა და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავებისა და მასტიკების წარმოება (კერძოდ ავტომობილების საღებავების და დამხმარე საშუალებების გაყიდვა). აგრეთვე საცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა/გარემონტება.

კომპანიის 100%-ის მეწილე არის უჩა დაშნიანი (პ/ნ 01001001354), რომელიც, ამავდროულად, არის კომპანიის დირექტორი.

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს კოლორ +
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	200277887
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	10/12/2009
მარეგისტრირებული ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი II მ/რ, კორ. 19ა



მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დამოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს, რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს სტანდარტების თანახმად.

კომპანია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ ოპერაციების შინაარსს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი დაიწყო 2021 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.



სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შემენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5-20 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 3-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი



- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- ავეჯი 5-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-10 წელი

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.


არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შემენილ ლიცენზიებს (მათ შორის შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

კაპიტალი


საწესდებო კაპიტალად კლასიფიცირდება დამფუძნებლები შენატანები კომპანიის კაპიტალში. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

თანხების დამრგვალება

ამ ანგარიშში თანხები დამრგვალებულია ვალუტის ერთეულებამდე.



ძირითადი საშუალებები

მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 4319 ლარი.

აქტივები	31/12/2021	31/12/2020
ძირითადი საშუალებები	4319	43233

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისგან.
ამორტიზაციის ხარჯმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 3934 ლარი.

ბალანსი 01 იანვარი 2021	22174
დამატება	-
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	22174

ცვეთა 01 იანვარი 2021	
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	3934
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	3934

ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2021	18240
--------------------------------------	-------



ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

ფული და ფულის ექვივალენტები	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,225	4,590
ნაღდი ფული	12,119	17,854
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	13,345	22,444

სასაქონლო მატერიალური მარაგები


კომპანიას სასაქონლო მატერიალური ფასეულობის სახით გააჩნია:

მარაგები	31/12/2021	31/12/2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	327,228	284,245
სულ	327,228	284,245

ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები

ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირის და პროცენტის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	31/12/2021	31/12/2020
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	52,719	88,989
სულ გრძელვადიანი სესხი	52,719	88,989



საკუთარი კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი საანგარიშგებო წლის ბოლოს შეადგენს 150417 ლარს.

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	117521
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	179706
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-118210
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-28600
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	150417

მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს.



საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

COVID-19 პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის შენელება და უარყოფითათ იმოქმედა კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე. კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთანავე ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკები.

პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგილობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები კომპანიისთვის. მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე მოსალოდნელია გაყიდვების მკვეთრი შემცირება, თუმცა კომპანიას არ შეეძნია ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 31 მარტს.

შპს კოლორ+

დირექტორი: უჩა დაშნიაძე